ფასი 10 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. და თიფ. კომიტეტების და საქ. მპის ორგანო

ტელეფონები: რედაქტორის—14—76, რედ. მოვალეების—22—17, სამდივნოსი 10—58, მთ. კონტორის—3—81.

კვირა, 22 ოქტომბერი 1933 წ. № 244 (3800)

მიმართვების გაცვლა-გამოცვლა

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ რუზველტსა და ს.ს.რ.კ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს შორის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს ცნობა

რუზველტი

მართვა-გამგეობის სათავეში ჩადგომის დღიდან, მე სასურველად მიმაჩნდა ვცდილიყავ ბოლო მომელო ეხლანდელ არანორმალურ დამოკიდებულებისათვის შეერთებულ შტატების 125 მილიონიან მოსახლეობასა და რუსეთის 160 მილიონიან მოსახლეობას შორის. დიდად სამწუხაროა, რომ ეს ორი დიდი ერი, რომელთა შორის ას წელზე მეტს არსებობდა ორივე მხარისათვის ხელსაყრელი ბედნიერი ტრადიციები მეგობრობისა — ამჟამად იმყოფება პარდაპირი ურთიერთობის პრაქტიკული მეთოდების გარეშე. სიძნელეები, რომლებმაც შექმნა ეს არანორმალური მდგომარეობა, სერიოზულია, მაგრამ, ჩემის აზრით, არ არის გადაულახავი, ხოლო სიძნელეები ორ დიდ ერს შორის შეიძლება დაძლეულ იქნას მხოლოდ გულწრფელი მეგობრული მოლაპარაკებით. თუ თქვენ ასევე თვით აზრისა ხართ, მე მოხარული ვიქნებოდი მიმელო თქვენ მიერ დანიშნული წარმომადგენლები ყველა იმ საკითხის განსახილველად პირადად ჩემთან, რომლებიც არსებობს ორ ქვეყანას შორის. ასეთ განხილვაში მონაწილეობა, რასაკვირველია, ხელფეხს არ შეუკრავს არც ერთ მხარეს მომავალი მოქმედების მართულების მხრივ, მაგრამ ეს იქნებოდა სათანადო პრობლემების დამაკმაყოფილებლად გადაჭრის მიღწევის გულწრფელი სურვილის მაჩვენებელი. იმედი მაქვს, რომ ასეთი მოლაპარაკება შედეგად სიკეთეს მოუტანდა ორივე ქვეყნის ხალხებს.

რუზველტი

1933 წლის 10 ოქტომბერი.

მივიღე თქვენი ამ წლის 10 ოქტომბ. მიმართვა. მე ყოველთვის უკიდურესად არანორმალურად და სამწუხაროდ მიმაჩნდა თექვსმეტი წლის განმავლობაში არსებული მდგომარეობა, როცა ორ დიდ რესპუბლიკას—ს.ს.რ. კავშირს და ამერიკის შეერთებულ შტატებს არა აქვთ ურთიერთობის ჩვეულებრივი მეთოდები და მოკლებული არიან იმ სარგებლობას, რომლის მიცემა ამ ურთიერთობას შეეძლო მათთვის. მოხარული ვარ აღვნიშნო, რომ თქვენც მიდით ასეთ დასკვნამდე. ეჭვს გარეშეა სიძნელეები, თუ ისინი არსებობენ ან წარმოიშობიან ორ ერს შორის, შეიძლება გადალახულ იქნან მხოლოდ მათ შორის უშუალო ურთიერთობის არსებობის დროს, ხოლო მეორეს მხრით, მათი გადალახვის არავითარი შანსი არ არსებობს, თუ ადგილი არა აქვს ასეთ ურთიერთობას. ნებას ვაძლევ ჩემს თავს კიდევ გამოვსთქვა ის აზრი, რომ არანორმალური მდგომარეობა, რომელზედაც თქვენ სამართლიანად მიუთითებთ თქვენს მომართვაში, არახელსაყრელ გავლენას ახდენს არამარტო ორ დაინტერესებულ სახელმწიფოს ინტერესებზე, არამედ აგრეთვე საერთაშორისო მდგომარეობაზეც, აძლიერებს შფოთის მთესავ ელემენტებს, ართულებს საყოველთაო მშვიდობიანობის განმტკიცების პროცესს და აჭიანებს ძალებს, რომლებიც მიმართულნი არიან ამ მშვიდობიანობის დარღვევისაკენ. ზემოდაღნიშნულის მიხედვით, მე სიამოვნებით ვღებულობ თქვენს წინადადებას ამერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელის გაგზავნის შესახებ იმ საკითხების განსახილველად თქვენთან, რომლებიც აინტერესებს ჩვენს ქვეყნებს. საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლად გამოემგზავრება საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ლიტვინოვი და ვაშინგტონში ჩამოვა ვადაზე, რომელიც შეთანხმებულ იქნება.

კალინინი



ამხ. კალინინი

საბჭოთა კავშირი და ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები

(„პრავდა“-ს მოწვინავე წერილი)

დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ ამერიკის პრეზიდენტის ფრანკლინ რუზველტის იმ მიმართვის ტექსტს, რომელიც მან გამოუგზავნა საბჭ. კავშირის ცკაკის თავმჯდ-რეს ამხ. კალინინის და ამხ. მ. ი. კალინინის პასუხს, ორივე მიმართვა განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. სავსებით ნათელია, რომ მხოლოდ ურთიერთობის სრულ ნორმალიზაციას საბჭოთა კავშირსა და ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ექნება დიდი მნიშვნელობა საყოველთაო მშვიდობიანობის განმტკიცებისათვის.

ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი თავის მიმართვაში აღნიშნავს, რომ ნორმალური ურთიერთობის უქონლობა ორ ქვეყანას შორის „დიდად სამწუხაროა“. საბჭოთა კავშირს, რომელსაც არ მიუღია მონაწილეობა ასეთი მდგომარეობის შექმნაში, შეუძლია მხოლოდ მესალმოს თვითეულ იმ ნაბიჯს, რომელიც გამოიწვევს უშუალო ურთიერთობის დამყარებას ორ ქვეყანას შორის.

ამერიკის პრეზიდენტის მიმართვა ერთგვარად აჯამებს ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის საყმაოდ ხანგრძლივ პერიოდს. უწინარეს ყოვლისა, საჭიროა აღინიშნოს, რომ ამერიკის წინანდელი ადმინისტრაცია ხელს უწყობდა ორივე ხალხის დაშორებას ერთი-მეორისაგან. ასეთ პოლიტიკას არ შეეძლო არ მოეხდინა გავლენა საერთაშორისო მდგომარეობაზე საერთოდ და თვით შეერთებული შტატების მდგომარეობაზე. ამანვე გამოიწვია ის, რომ ეკონომიური ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის თითქმის ჩაკვდა. ნორმალური ურთიერთობის არსებობის დროს კი ამერიკა საბჭოთა კავშირის ეკონომიური დამოკიდებულება უზრუნველყოფილი იქნებოდა სათანადო პირობებით და ფართოდ განვითარების შესაძლებლობით.

უკანასკნელი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა ბევრი ამერიკელი მეთვალყურე, ისინი ხშირად ალმაცერად იყვნენ განწყობილი, მაგრამ საკუთარი თვალით დანახვის და დარწმუნდენ, თუ არა ზნი მიაყენა შეერთებული შტატების საქმიან წრეებს წინანდელი ადმინისტრაციის იმ პოლიტიკამ, რომელიც ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ნორმალიზაციას. ეკონომიური კავშირი ორ ქვეყანას შორის, მოკლებული მთავრობებს შორის ჩვეულებრივ ურთიერთობას, უსათუოდ მსხვერპლად უნდა მიეტანათ ერთი მუქა კაპიტალისტებისათვის, რომლებსაც დაკნინებით არ სურდათ გაეწიათ ანგარიში ზოგიერთი ცვლილებისათვის, უკანასკნელი წლების განმავლობაში უსასტიკესი კრიზისით მოცული ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების მდგომარეობაში, რომ მოხდა საბჭოთა კავშირის მდგომარეობისათვის, რომელიც შეუფერებლივ მაგრდება, როგორც უდიდესი ეკონომიური და საერთაშორისო ფაქტორი. თუ რუზველტს მიმართვა ნიშნავს უარის თქმას წინანდელ პოლიტიკაზე ევროპისა და აზიის უდიდესი ქვეყნის მიმართ, მაშინ ეს იმას მოწმობს, რომ ამერიკის ბურჟუაზიის ხელმძღვანელი წრეები, ბოლოს და ბოლოს, განვლილი 16 წლის გამოცდილებით დარწმუნდენ, რომ საბჭოთა პოლიტიკის შეცვლა. ამას მოითხოვს შეცვლილი ვითარება და სალი ანგარიში. მათ უხდებათ იმის გათვალისწინება, რომ საბჭოთა ქვეყანას უდიდესი ადგილი უჭირავს საერთაშორისო ასპარეზზე, ამ გარემოების უგულებელყოფა არ შეიძლება საკუთარი თავისათვის ზიანის მიუყენებლად.

ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობას აქვს საკმაოდ გრძელი ისტორია, მან მთელი რიგი თანმიმდევრობითი საფეხურები განვლო. თვითეულ საფეხურზე მისი ხასიათი, უწინარეს ყოვლისა, განისაზღვრება თვით ამერიკის კაპიტალიზმის მდგომარეობით, ამერიკის ბურჟუაზიის შიგნით დაჯგუფებათა ბრძოლით. საბჭ. კავშირის მხრით, განვლილი 16 წლის განმავლობაში, არ ყოფილა დაბრკოლება ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებისათვის ისე, როგორც მან დაამყარა ასეთი ურთიერთობა კაპიტალისტური მსოფლიოს უდიდეს ქვეყნებთან. ეჭვიც არ შეიძლება იქნეს შემდეგ იძულებული იყვნენ ეცნოთ საბჭოთა კავშირი. ახლა ამერიკის ბურჟუაზიის ფართო საქმიანი წრეები ძალებული არიან აღიარონ, რომ წინანდელი ადმინისტრაციის პოლიტიკამ ეკონომიურ სარგებლობა ვერ მოუტანა შეერთებულ შტატებს. ჩვენ ვლაპარაკობთ ამაზე მხოლოდ იმიტომ, რომ ხაზი გავუსვათ იმ პოლიტიკას, რომლის გატარებასაც ცდილობს საბჭოთა კავშირის ახლანდელი პრეზიდენტი ფრანკლინ რუზველტი. რაგორც ამას ნათლად ადასტურებს საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის, პოლონეთსა და თურქეთთან, იტალიასა და სხვა ქვეყნებთან. ურთიერთობის საგულისხმო მაგალითი, ის პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს მშვიდობიანობის განმტკიცებას, უნდა გატარდეს უყოყმანოდ თანმიმდევრობით, გადაჭრით. ბუნებრივია, რომ საბჭოთა მთავრობის პასუხი მთლიანად გამომდინარეობს მშვიდობიანობის თანმიმდევრობით, მტკიცე და ურყევი პოლიტიკიდან. საბჭოთა ქვეყანა მზად არის დაამყაროს ნორმალური ურთიერთობა ყველა კაპიტალისტურ ქვეყანასთან, რომელსაც კი ეს გულწრფელად სურს. მათ შეტეხს ეს ეხება ისეთ ქვეყანას, როგორიცაა ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები, რომლის როლიც საერთაშორისო პოლიტიკაში ყოველივე ეჭვს გარეშეა, ისე როგორც ყოველივე ეჭვს გარეშეა მისი, როგორც უდიდესი ეკონომიური ფაქტორის, მნიშვნელობა.

საბჭოთა მთავრობა, როგორც ეს ამხ. კალინინის საპასუხო მიმართვიდან ჩანს, მუდამ იცავდა იმ თვალსაზრისს, რომ თუ ხალხებს შორის ადგილი აქვს სიძნელეებს ან წამოიჭრება ეს სიძნელეები, ისინი შეიძლება გადაჭრილ იქნან მხოლოდ „ამ შემთხვევაში, თუ მათ შორის არსებობს უშუალო ურთიერთობა, ხოლო მეორე მხრით შეუძლებელია მათი გადაჭრა, როცა არ არსებობს ასეთი ურთიერთობა“.

გარდა ამისა, კარგადაა ცნობილი, რომ საბჭოთა კავშირსა და ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ნორმალური ურთიერთობის უქონლობით დიდ და ახლაც ეწევიან სწორედ ის ელემენტები, რომლებიც თავის მოწოდებას იმაში ხედავენ, რომ ხალხთა შორის სიძნელენი შექმნან. „არანორმალური მდგომარეობა, — ნათქვამია ამხ. კალინინის საპასუხო მიმართვაში. რომელსაც თქვენს მიმართვაში სამართლიანად აღნიშნავთ, აუხსნელსაყრელ გავლენას ახდენს არა მარტო ორ დაინტერესებულ სახელმწიფოს ინტერესებზე, არამედ მთელ საერთაშორისო მდგომარეობაზეც,—იგი აძლიერებს მოუსვენრობის ელემენტებს, ართულებს საყოველთაო მშვიდობიანობის განმტკიცების პროცესს და აჭიანებს ამ მშვიდობიანობის დარღვევისაკენ მიმართულ ძალებს.“

საბჭოთა მთავრობამ გამოთქვა თანხმობა გაგზავნოს ვაშინგტონში თავისი წარმომადგენელი ამერიკის პრეზიდენტთან იმ საკითხების განსახილველად, რომლებიც ორივე მხარეს აინტერესებს. ის თვითი, რომ ეს მისია საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს ამხ. ლიტვინოვს დაეკისრა, გვიჩვენებს, რომ საბჭოთა მთავრობა სათანადოდ აფასებს მომავალი მოლაპარაკების უაღრესობას და ყურადღებით ეკიდება ამ აქტს, რომელსაც უეჭველად, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

იმპერიალისტებს შორის არსებულმა მეტად მწვავე წინააღმდეგობებმა ამჟამად საშიში ხასიათი მიიღეს. „განიარაღების“ კონფერენციის დამარცხება აშკარაა. ვერსალის წინააღმდეგობანი უკიდურესობამდეა გამწვავებული. ფაქტიურად დაწყებულია ლონდონის და ვაშინგტონის ხელშეკრულებათა ლიკვიდაცია. საზოგადოება ერების სახელმწიფო ბიუჯეტის უდიდეს ნაწილს ნთქავს. კაპიტალისტური ქვეყნების შეიარაღება შეუჩერებლივ მატულობს. ბოლოს, არ შეიძლება იყოს ორი აზრი ისეთ სანდო წყაროდან, როგორიცაა ერთა ლიგიდან ფაშისტური გერმანიის გამოსვლა. ყველაფერი ეს ისეთი ფაქტებია, რომლებიც მოწმობენ, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში წარმოების ახალი იმპისათვის აშკარა მზადება. ამ რთულ საერთაშორისო ვითარებას იყენებენ ავანტიურისტული წრეები იმისათვის, რომ მსოფლიოს ახალი უბედურება დაატეხონ თავზე. ვინ შეიტანს ეჭვს იმაში, რომ ნორმალური ურთიერთობა ჩრდილოეთ ამერიკასა და საბჭოთა კავშირს შორის შეიქმნა. „არანორმალური მდგომარეობა, — ნათქვამია ამხ. კალინინის საპასუხო მიმართვაში. რომელსაც თქვენს მიმართვაში სამართლიანად აღნიშნავთ, აუხსნელსაყრელ გავლენას ახდენს არა მარტო ორ დაინტერესებულ სახელმწიფოს ინტერესებზე, არამედ მთელ საერთაშორისო მდგომარეობაზეც,—იგი აძლიერებს მოუსვენრობის ელემენტებს, ართულებს საყოველთაო მშვიდობიანობის განმტკიცების პროცესს და აჭიანებს ამ მშვიდობიანობის დარღვევისაკენ მიმართულ ძალებს.“

საბჭოთა მთავრობამ გამოთქვა თანხმობა გაგზავნოს ვაშინგტონში თავისი წარმომადგენელი ამერიკის პრეზიდენტთან იმ საკითხების განსახილველად, რომლებიც ორივე მხარეს აინტერესებს. ის თვითი, რომ ეს მისია საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს ამხ. ლიტვინოვს დაეკისრა, გვიჩვენებს, რომ საბჭოთა მთავრობა სათანადოდ აფასებს მომავალი მოლაპარაკების უაღრესობას და ყურადღებით ეკიდება ამ აქტს, რომელსაც უეჭველად, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

დღეს გამოქვეყნებული დოკუმენტები, რომლებიც მოასწავებენ ახალ ნაბიჯს საბჭოთა კავშირის და შეერთებული შტატების დაახლოვებისა, უკანასკნელი დროის უდიდეს მოვლენებს მიეკუთვნება. თავისთავად ცხადია, თუ რა მნიშვნელობა ექნებოდა მშვიდობიანობის საქმისათვის უშუალო ურთიერთობის მსოფლიოს ორ უდიდეს ქვეყანას შორის—ჩვენს საბჭოთა კავშირსა და ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. ამით თავიდან იქნებოდა აცილებული ჩრდილოეთ ამერიკასა და საბჭოთა კავშირის შორის შეიქმნა ის სამწუხარო არანორმალური მდგომარეობა, რომელსაც აღნიშნავს ამერიკის პრეზიდენტი რუზველტი თავის მიმართვაში საბჭოთა კავშირის ცკაკის თავმჯდომარის ამხ. კალინინისადმი.

მოსკოვი, 21 ოქტომბერი

ბოლო მოუღოთ ოპორტუნისტულ თვითმდინარებას

საშემოდგომო ხვნა-თესვაში

გურჯაანი ასწორებს ჩამორჩენას

„კომუნისტმა“ 9 სექტემბრის და 6 ოქტომბრის ნომერში დროულად, სამართლიანად და მკვეთრად გაამხილა გურჯაანის რაიონის პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების ყურადღება შემოდგომის თესვის კამპანიის ფრონტზე სამარცხვინო ჩამორჩენის გამოსწორების ირგვლივ. „კომუნისტის“ სიგნალის საფუძველზე რაიონის საბჭოთა და პარტიულმა ორგანიზაციებმა გადამჭრელი ზომები მიიღეს თესვის ფრონტზე გარღვევების გამოსასწორებლად.

პარტიული ორგანიზაციების სუსტი ხელმძღვანელობის და რაიმიწგანის უპასუხისმგებლო მუშაობის შედეგად, თესვის კამპანია თითქმის ჩაშლამდე იქნა მიყვანილი.

ამჟამად რაიონში მდგომარეობა **სწორდება,** მთელი ძალები თესვის ფრონტზეა გადასროლილი. 10 ოქტომბრიდან ყოველ დღიურად იხვნება 800—900 ჰექტარი, 12 ოქტომბრიდან 18 ოქტომბრამდე მოიხნა 5000, ჰექტარზე მეტი და დათესილია 2,756 ჰექტ., ხვნის რაიონული გეგმა შესრულებულია 33 პროცენტით. 18 ოქტომბრისათვის კოლმეურნეობებს ხვნა ჩატარებული ჰქონდათ 1560 ჰექტ., რაც გეგმის 70 პროც. შეადგენს; სათესლე მასალა გაწმენდილია 18.637 ფუთის რაოდენობით, გეგმა შესრულებულია 70 პროცენტით.

მიუხედავად მდგომარეობის ნაწილობრივ გამოსწორებისა, რაიმიწგანის ხელმძღვანელობა და დახმარება ხვნა-თესვაში მაინც საკმაოდ არ სჩანს.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი სოფლის საბჭოები და პარტუჯრედები დღემდე კიდევ არ გრძნობენ სრულ პასუხისმგებლობას შემოდგომის თესვის ხელმძღვანელობის დარგში.

ასე, მაგალითად, **ვეჯინის** სოფლის საბჭომ (თავმჯდომარე სეფიაშვილი) უნდა მოხნას 750 ჰექტ., მოხნული აქვს 35 ჰექტ.; **გურჯაანის** საბჭომ ხვნის გეგმა შეასრულა 18 პროცენტით. (თავმჯდომარე ხუნაშვილი) ჯიმითში—15 პროცენტით. (თავმჯდომარე ზირაქიშვილი) და სხვა.

კულაკურ და შეძლებულ მეურნეობებზე მიცემული მტკიცე დავალებები ნელი ტემპით სრულდება. 18 ოქტომბრამდე კულაკების მიერ მოხნული იყო 97 ჰექტ. (მტკიცე დავალების 30 პროც.) ეს მოწმობს, რომ კიდევ არ არის გადამჭრელი ზომები მიღებული კულაკური საბოტაჟის აღსაკვეთად.

ერთპიროვნულ მეურნეთა სექტორის ხაზით ჩამორჩენილია 15 პროცენტიანი სადაზღვევო სათესლე ფონდის შეგროვება. (გეგმა შესრულებულია 41 პროცენტით).

ამრიგად მნიშვნელოვან გარდატეხის მიუხედავად, გურჯაანის რაიონში საშემოდგომო თესვის ზოგიერთ საპასუხისმგებლო უბნებში ჩამორჩენა ისევ გრძელდება. საჭიროა ამ ჩამორჩენის დაუყოვნებლივ გასწორება.

თესვის ვადები იწურება. ჩვენ მოვითხოვთ რაიმიწგანი სათავეში ჩაუდგეს თესვის საქმეს და უზრუნველყოს მისი ბოლშევიკურად დათესვა.

მ. ზარანდია.

შეუნელებელი ყურადღება სათესლე მასალის შეგროვებას და გაწმენდა-შეწამვლას

სათესლე და სადაზღვევო ფონდების გამოყოფა

საქ. მიწათმოქმედების კომისარიატის ცნობით 15 ოქტომბრისათვის საქართველოს კოლმეურნეობებს საშემოდგომო კულტურების სათესლე ფონდი გამოყოფილი ქონდათ 127.611 ცენტნერი, გეგმით გათვალისწინებული რაოდენობის 98,3 პროცენტი **გორის, ბორჯომის, გურჯაანის, თელავის, ყვარელის, ლაგოდეხის, ტფილისის, ყარაიას, საგარეჯოს, ონის, და ამბროლაურ** რაიონებს სათესლე ფონდების გამოყოფა გეგმა **მთლიანად და გადაჭარბებით აქვთ შესრულებული.**

სათესლე ფონდების გამოყოფა, **სამარცხვინოთ არის ჩამორჩენილი ადიგენის, ტოლოშის, და ჭიათურის რაიონებში. ადიგენის რაიონის კოლმეურნეობებს** 15 ოქტომბრისათვის სათესლე მასალა გამოყოფილი ქონდათ საჭირო რაოდენობის მხოლოდ 23,4 პროც. ტოლოშის რაიონს—33,3 პროც. და ჭიათურის რაიონს—34 პროც.

ძალზე ჩამორჩენილია სადაზღვევო ფონდების გამოყოფა. 15 ოქტომბრისათვის გამოყოფილი იყო სულ 15.473 ცენტნერი, გეგმით გათვალისწინებული რაოდენობის 38,8 პროცენტი, სადაზღვევო ფონდების გამოყოფა დამთავრებული აქვთ მხოლოდ **ყვარელის და ყარაიას** რაიონებს. ადიგენის, თიანეთის, ამბროლაურის, ცაგერის და ზემოსვანეთის რაიონებს. სადაზღვევო ფონდების გამოყოფა -15 ოქტომბერს დაწყებულიც კი არ ქონდათ. აღბულაღმანგლისის და საგარეჯოს რაიონებს შესრულებული აქვთ გეგმის მხოლოდ 18 პროცენტი. დუშეთის რაიონს 20 პროც. ბორჩალოს 21,3 პროც. ცენტით, ლიუჭსებურგის — 23,9 პროც. კასპისას 26,3 პროც.

სათესლე და სადაზღვევო ფონდების გამოყოფის ვადა კარგა ხანია გადაცილებულია. ჩამორჩენილმა რაიონებმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღონ ზომები და სათესლე და სადაზღვევო ფონდების გამოყოფა უახლოეს ხუთდღიურში დაამთავრონ.

სათესლე მასალის გაწმენდა

15 ოქტომბრისათვის გაწმენდილი იყო სულ 261466 ცენტნერი სათესლე მასალა, გეგმის 65,1 პროც. ცაგერის და ზემოსვანეთის რაიონებს სათესლე მასალის გაწმენდის 15 ოქტომბრისათვის დაწყებულიც კი არ ქონდათ. ამბროლაურის რაიონს გაწმენდილი ქონდა 93 ცენტნერი, გეგმის 1,9 პროც. ბორჯომის რაიონს 25 ცენტ., გეგმის 8 პროც. ტოლოშის რაიონს—400 ცენტნერი 16,3 პროცენტი, ლიუჭსებურგის რაიონს 388 ცენტნერი 3.5 პროც. სათესლე მასალის მთელი რაოდენობა მხოლოდ გარეუბანს აქვს შეწამლული.

სათესლე მასალის შეწამვლა

15 ოქტომბრისათვის შეწამლული იყო სულ 158.372 ცენტნერი, სათესლე მასალა, შესრულებული იყო გეგმის 39,4 პროც., ცაგერის და ზემოსვანეთის რაიონებს შეწამვლა ჯერ დაწყებულიც კი არა აქვთ. ჭიათურის რაიონს შეწამლული აქვს 52 ცენტნერი, საჭირო რაოდენობის 1,32, ამბროლაურის რაიონს—93 ცენტნერი 1,9 პროც. ბორჯომის რაიონს 8,4 პროც. ლიუჭსებურგის რაიონს —2,3 პროც. და სხვ.

საქ. სახკომსაბჭოს და საქ. კ.პ.(ბ) ც.კ-ის 17 აგვისტოს დადგენილებით თანახმად სათესლე მასალის გაწმენდა-შეწამვლა დამთავრებული უნდა იქნეს 15—20 დღით ადრე თესვის დაწყებამდე. ამჟამად თესვა არაშეთუ დაწყებულია, არამედ ბევრგან მთავრდება კიდეც. როგორც ვხედავთ სათესლე მასალის გაწმენდა-შეწამვლის ვადები დარღვეულია, რაც რაიონული ორგანიზაციების ცუდი ხელმძღვანელობის შედეგს წარმოადგენს.

გადაჭრით უნდა გაძლიერდეს სათესლე მასალის გაწმენდა-შეწამვლის ტემპები და უზრუნველყოფილ უნდა იქნას რომ არ დაითესოს არც ერთი მარცვალი გაუწმენდავი და შეუწამლავი თესლი.

პარტიული მშენებლობა

კომკავშირელებო! კომკავშირის 15 წლის თავს შეხვდით ახალი მიღწევებით

კონკრეტული ხელმძღვანელობა ლენინურ კომკავშირს

ხაკ. კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1932 წ. 7 სექტემბერს, გამოიტანა მნიშვნელოვანი დადგენილება კომკავშირზე პარტიული ხელმძღვანელობის გაწევის და დახმარების შესახებ. ამ დადგენილების მთლიანად შესრულება მოითხოვს პარტიული ორგანიზაციების ყურადღების მობილიზაციას. კომკავშირის საკავშირო მუშაობის ახალი ფორმების და მეთოდების მიხედვით გარდაქმნისათვის.

მიუხედავად ამისა ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია (ტფ. ტრამვაი) ნაკლებ ყურადღებას აქცევს კომკავშირის მუშაობის საკითხებს, ეს ორგანიზაციები არ ისმენენ კომკავშირის უჯრედებზე მიმაგრებული პარტიული ამხანაგების მოხსენებებს მათი მუშაობის შესახებ კონკრეტულ ოპერატიულ ხელმძღვანელობას არ უწევენ კომკავშირის ორგანიზაციას (ხაკ. მოწსახკომი) საკავშირო მუშაობის გარდაქმნის საქმეში, ხშირად მათი ხელმძღვანელობა და დახმარება კომკავშირზე არადიფერენცირებულ კომკავშირის უჯრედის კრებებზე გამოუშვებენ ორ ავადმყოფ ორთქლმავალს. ამას გარდა კომკავშირის მთელ რიგ ორგანიზაციები (კალინინის სახელობის ქარხანა, ამხ. ლ. ბერიას სახ. ქარხანა და სხვ.) კისკასლობენ კომკავშირულ ვალდებულებებს საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულების, ამხ. სტალინის 6 ისტორიულ მითითებების მთლიანად რეალიზაციის და ხაკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის იანვრის პლენუმის გასათვალისწინებელ დაწვევტილებათა შესასრულებლად.

ეს გარემოება პარტიული ორგანიზაციების წინაშე კიდევ უფრო გარკვევით აყენებს ამოცანას კომკავშირზე პარტიული ხელმძღვანელობის გაწევის და დახმარების გაძლიერების შესახებ, რათა კომკავშირის 15 წლის თავს შეხვდეთ უფრო მეტი მოღწევებით.

პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა იბრძოლონ იმისათვის, რომ თვითული კომკავშირელი, კომკავშირის თვითეული უჯრედი 7 კომკავშირ. ჯგუფით. მათ მიცემული აქვთ საკუთარი წოგნაკები, რომლებშიდაც იწერება ყოველივე მათ მიერ ჩატარებული მუშაობა.

ახალგაზრდა ენტუზიასტები—მუშაობის საუკეთესო ნიმუშებს იძლევიან

კალინინის სახ. ქარხნის კომკავშირის ორგანიზაცია მუშაობის საუკეთესო ნიმუშებს იძლევა. კომკავშირი, როგორც სოც/შეჯიბრების და დამკვრელობის ინიციატორი, თავდადებულად იბრძვის საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულებისათვის. სწორედ ამიტომაც არის, რომ კალინინის სახელობის ქარხანა ტფილისის საწარმოებში მოწინავეთა რიგებში ითვლება.

რითი დაიმსახურა მან ეს ღირსეული სახელი?

ქარხანა საწარმოო დავალებებს სისტემატიურად გადაჭარბებით ასრულებს. აქ, მიმდინარე რვა თვის განმავლობაში საწ-საფ. გეგმა შესრულდა 102,3 პროც., მესამე კვარტალის საწ. დავალება—კი 101,5 პროც. ეს გამარჯვება მოპოვებულია იმით, რომ ადგილობრივმა პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა პირი იბრუნეს საწარმოო და პრაქტიკული საწარმოო საკითხებისაკენ, საბრძოლო ამოცანად დაისახეს მუშების ახალი ფორმების და მეთოდების მიხედვით გარდაქმნა, ძირეული პარტ. და კომკავშირული რეორგანების შემზადება-განხორციელება და მათზე ყოველდღიური ხელმძღვანელობის გაძლიერება.

აი ფაქტები, რომელნიც ნათელყოფენ კალინინის სახელობის ქარხნის — ახალგაზრდა ენტუზიასტების მუშაობის.

ქარხანაში მუშაობს 250 კაცი, აქედან 84 კომკავშირელია, ჩამოყალიბებულია ერთი კომკავშირის უჯრედი 7 კომკავშირ. ჯგუფით. მათ მიცემული აქვთ საკუთარი წოგნაკები, რომლებშიდაც იწერება ყოველივე მათ მიერ ჩატარებული მუშაობა.

ხ. კ. კ. უჯრედი სისტემატიურად ისმენს კომკავშირული ჯგუფების მოხსენებებს მათი მუშაობის შესახებ, ეძლევათ კონკრეტული მითითებანი შემდგომი მუშაობის გაწევის სათვის; ამიტომაც ქარხნის სახარატო და ფართო მოხმარების საამქროებში კომკავშირული ჯგუფები მუშაობის საუკეთესო ნიმუშებს იძლევიან. აქ სისტემატიურად გადაჭარბებით სრულდება საწარმოო და ვალებანი, მათი მუშაობა გარდაქმნილია ხაკ. ალკა მე-7 კონფერენციის გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

— კომკავშირზე პარტიული ხელმძღვანელობა დამაკმაყოფილებელია, ამბობს ხ. კ. კომიტეტის მდივანი ამხ. კარაპეტიანი.

ეს მართალია.

პარტუჯრედი იბრძვის კომკავშირის მუშაობის შესახებ ხაკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის 1932 წ. 7 სექტემბრის და ხაკ. კ.პ. (ბ) ა.-კ: სამხარეო კომიტეტის უკანასკნელი გადაწყვეტილების შესრულებისათვის, კომკავშირის მუშაობის მაღალ საფეხურზე აყვანისათვის.

კომკავშირის უჯრედზე მიმაგრებულია პარტიის წევრი ამხ. მარტიშვრენკო და იაროკცი, რომლებიც სისტემატიურად ესწრებიან ხ. კ. კ. უჯრედის კრებებს, აქტიური მონაწილეობას ღებულობენ ხ. კ. კ. უჯრედის საკითხების გადაწყვეტაში და სისტემატიურ კონკრეტულ ხელმძღვანელობას და დახმარებას უწევენ კომკავშირის ორგანიზაციას. თვით პარტუჯრედი სისტემატიურად ისმენს ხ. კ. კ. უჯრედზე მიმაგრებული ამხანაგების მოხსენებებს და აძლევს კონკრეტულ მითითებებს შემდგომი მუშაობის გაწევისათვის.

„სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა სოციალისტური მშენებლობის საწინდარია“. — ეს კარგად იციან კალინინის სახ. ქარხნის ახალგაზრდა მუშა ენტუზიასტებმა, და სწორედ ამიტომ აქ კომკავშირის მთელი შემადგენლობა ჩაბმულია სოც/შეჯიბრებაში. ქარხანაში სამი კომკავშირული ბრიგადა და ერთი ფართო მოხმარების ბრიგადა კომკავშირული საამქრო. დამკვრელ ბრიგადებს შორის დადებულია სოც/შეჯიბრის ხელშეკრულებები და სისტემატიურად ხდება მათი შესრულების შემოწმება. ქარხანაში საუკეთესო დამკვრელები, მოწინავე ენტუზიასტებია, კომკავშირელები: მუკასოვი, მარტიროსიანი, გალუსტიანი, ფედოტოვი და სხვ. ეს ამხანაგები სისტემატიურად გადაჭარბებით ასრულებენ სწ. საფინანსო გეგმებს. აქტიური მონაწილეობას ღებულობენ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მუშაობაში. ამასთან ერთად არიან ჩამორჩენილი კომკავშირელები, რომლებიც ვერ ასრულებენ კომკავშირელთა ავანგარდული როლის საწარმოში. ასეთებია: ამოსოვი, ბაბოიანი და აკოფოვი. ასეთი კომკავშირელების წინააღმდეგ ქ. ქ. ორგანიზაცია გადამჭრელ ზომებს ღებულობს.

ამხ. კალინინის სახ. ქარხნის კომკავშირის ორგანიზაციამ დროულად გაშალა მუშაობა საკავშირო კომკავშირის 15 წლისთავის შესახვედრად. ამ დღესთან დაკავშირებით კომკავშირელებმა აიღეს მთელი რიგი კონკრეტული ვალდებულებანი,

ელექტრო - მონტაჟის საამქრო გამოცხადებულია ხაკ. კომკავშირის 15 წლის სახელობის დამკვრელ საამქროდ.

სახარატო საამქროში ჩამოყალიბდა 15 წლის სახელობის დამკვრელ ბრიგადა, სამექანიკო საამქროს კომკავშირელების სადგურის ხიდის მშენებლობისათვის, გეგმის ზევით რეპორტს უკეთებენ 30 ვაგონეტკას, ფართო მოხმარების საგნების საამქრო გეგმის ზევით უშვებს საწოლის ხუთ ბადეს, 20 მეტრ მსხვილ და 20 მეტრ წვრილ ჯაჭვს, ჩამოასხმენ 20 ტონა სხმულს, ქარხანაში ტარდება ტექგამოცდა და სხვა.

კალინინის სახ. ქარხნის კომკავშირის ორგანიზაციამ ხაკ. კომკავშირის 15 წლისთავის აღსანიშნავ დღის უკეთესად ჩატარების მიზნით სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ტფ. ტრამვაის კომკავშირის ორგანიზაცია.

ტფილისის ტრამვაის მომდინარე შეკეთების ბრიგადის დამკვრელმა კომკავშირელებმა ამხ. მიქაძემ, ფირცხალავამ და ფარანიშვილმა, ხაკ. კომკავშირის 15 წლის თავის აღსანიშნავად აკისრეს ვალდებულება გეგმის გარეშე შეკეთებიდან გამოუშვან ტრამვაის ორი ვაგონი

ვაგონების ახსნის 556 შემთხვევა გუჯრების წვის მიზეზით

ამიერ-კავკასიის რკინის გზის სავაგონო დარგში მიღებულ სადისპეტჩერო ცნობების მიხედვით, სექტემბერში გზაზე ადგილი ქონდა ბუჯრების წვის მიზეზით მოძრავ მატარებლიდან გზაში ვაგონების ახსნის 556 შემთხვევას. სავაგონო უბნებს შორის პირველ და მეორე რაიონების ფარგლებში ეს შემთხვევები შემდეგნაირად ნაწილდება: ბათომში ერთი შემთხვევა, სამტრედიაში—104, ხაშურში—23 და ტფილისში—34.

აგვისტოსთან შედარებით, სექტემბერში ბუჯების წვის მიზეზით ვაგონების ახსნის შემთხვევები შემცირდა 179-ით. სულ აგვისტოში ადგილი ქონდა 735 შემთხვევას; აქედან: სამტრედიის უბანზე—146, ხაშურის უბანზე—41 და ტფილისის 127. ბათომში არ ჰქონია ადგილი არც ერთ შემთხვევას.

მდგომარეობა გზაზე ბუჯების მოვლისა და ხასზე მეთვალყურეობის მხრივ ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად. სექტემბრის ცნობები ცხადჰყოფენ, რომ მზეთავების და სავაგონო დეპოების მუშაობაში ჯერ კიდევ არ მომხდარა გარდატეხა; მათი დაუდეგარი მუშაობით მიღწეული განმავლობაში ეჭსპლოატაციიდან გამოვიდა და გზას დააკლდა 556 ვაგონი, რაც ეხლანდელ გაძლიერებულ ტვირთზიდვის პირობებში დიდ დანაკლისად უნდა ჩაითვალოს.

ამას ხერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. სავაგონო უბნებმა ყურადღება უნდა მიაქციონ მზეთავების და დეპოების მუშაობას და იბრძოლონ ბუჯების წვის შემთხვევების სრულიად აღმოფხვრისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ბუჯების წვის მიზეზით ვაგონების ახსნის აღრიცხვა და ამ მიზეზების ანალიზის საქმე ა-კ. რკინის გზაზე დაყენებულია ძალზე სუსტად. უკვე 18 დღეს განვლო და გზის სავაგონო განყოფილებაში აქამდე არ მოეპოებათ ზუსტი ანალიზი იმისა, თუ რა მიზეზებით იყო სექტემბერში გამოწვეული გზაზე 556 ვაგონის ახსნა, რამ გამოიწვია, ეს, ბუჯების წვის რამდენი შემთხვევა მოხდა მზეთავების მიზეზით და რამდენი დანარჩენი ტექნიკური მიზეზებით. სავაგონო მეურნეობის მუშაკები, რომელთაც ეს საქმე აქვთ დაკისრებული განაგრძობენ მუშაობას ძველებური მოდუნებული ტემპებით. გზის სავაგონო განყოფილება არ იჩენს საჭირო დაჟინებას იმისათვის, რომ სავაგონო უბნებმა თავის დროზე მიაწოდონ მას აუცილებელი ცნობები ვაგონების ახსნის რაოდენობის და მისი მიზეზების შესახებ.

ეს უსათუოდ დიდი ნაკლია. ზუსტი აღრიცხვისა და ანალიზის გარეშე შეუძლებელია საქმის ნამდვილი ვითარების გამორკვევა და სათანადო ბრძოლის გაწევა იმისათვის, რომ მახლობელ ხაანგარიშო პერიოდებში ეს მიზეზები თავიდან იქნეს აცილებული.

ამ ნაკლის გამოსწორებას გზის სავაგონო განყოფილებამ სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს. მან ისე უნდა ააწყოს თავისი მუშაობა, რომ ყოველი დეკადის შემდეგ, მეორე, მესამე დღეს მოეპოებოდეს სრული სურათი იმისა, თუ რა მიზეზები იწვევს ვაგონების ახსნას. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ დროულად იქნეს აღმოფხვრილი ვაგონების ახსნის მიზეზები.

ტფილისის სავაგონო დეპო. ხაუკეთესო დაჯგრელი მზეთავი ამხ. კავთიაშვილი, ჩაბმულია „კომუნისტის“ კონკურსში.

სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებათა გაზეთების დასახმარებლად

პრესის მიმართულების მაგიერობა

სათაური და „ქუდი“ გაზეთში

ამხ. გოლდბერგი, კრემილოვსკის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის (ოდესის ოლქი) პოლიტ-განყოფილების გაზეთის რედაქტორი, უჩივის თავის მუშაობის „იღბლიან ადგილს“.

„როგორც კი საქმე მიდგება „ქუდის“ გამოგონებაზე, იწყება მძიმე მშობიარობა. ბოლოს მოისაზრებ, გაზეთს გამოუშვებ, ხვალ, კითხულობ არ მოგწონს... ხშირად ასევე, ზოგჯერ უფრო ცუდათაც კი, გამოდის შეხანშვრების სათაურების მხრივ“.

რედაქტორ გოლდბერგს სურს ისე „დააწუროს“ შენიშვნები, რომ სათაურიც „მოლიფრულ“ ნაწერად მოეჩვენოს, ლეიძლადეს“, იძულებული გახდეს კოლეგიურნი აუცილებლად წაიკითხოს შენიშვნა. სათაურები კი, თითქოს განგებ ერთფეროვანი, ხშირად კი ბრძანების კალოსი გამოდის.

ამაგე დროს შენიშვნების სათაურებს, „ქუდებს“ უდიდესი მნიშვნელობა აქვთ იმისათვის, რომ გაზეთი საინტერესო გახადოთ. სათაურები და „ქუდები“ — ეს პირველია, რაც მკითხველს თვალში ხვდება, როგორც კი ის გაზეთს ხელში აიღებს, ამიტომ მართალია ამხანაგი გოლდბერგი, როცა მას სურს ისწავლოს მასკეს წერილებს და შენიშვნებს მაგარი, მკაფიო სათაურები.

რაიონულ და პოლიტგანყოფილების ნორჩ პრესაში სათაურების და „ქუდების“ უბედურება, და დიდი უბედურებაც, პირველი, ესაა, რომ ისინი ერთფეროვანია. სათაურების ერთფეროვნება წარმოშობს მათ ზოგადობასაც — უეჭველად მაგნე თვისებას, რომელიც ამცირებს ხოლშეცდომის ბედნიერი სიტყვის ძალას. სამწუხაროდ, რაიონული და პოლიტგანყოფილების გაზეთების ფურცლები აჭრელებულია ზოგადი, ხშირად ეკ ერთსიათი სათაურებით, რომლებიც ისმარება სულ სხვადასხვა ხასიათის შენიშვნებისათვის, სხვადასხვა პოლიტიკური და პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე შენიშვნებისათვის.

გავაძლეროთ ტემპები!
საჭიროა სასწრაფო ზომები,
ოპორატუნისტული თვისებების ტყვეობაში!
კუს ტემპებით.
უპასუხისმგებლობისათვის პასუხი მოვთხოვოთ.
ვიმუშაოთ დაკვრითი წესით,
ბოლოხმდე აღმოვფხვრათ.

ასეთ სათაურებს ვხედებით პოლიტგანყოფილების გაზეთის ან რაიონულ გაზეთის თვითეულ ნომერში, ამასთან ყოველი სამაბით და სრულიად უსაბაბოდაც კი. ბუნებრივია, რომ ასეთი სათაურები გაუფასურებულია, უფრო უბრალოდ, რომ ვსთქვათ, მობეზრდა მკითხველს.

მობეზრდა და მკითხველამდე ვერ აღწევს ყოველგვარი ისეთი სათაური, რომელშიაც გაზეთები წინადადებას იძლევიან „დეკემთის მეტი ყურადღება...“ მკითხველს ეკარგება ხალისი წაიკითხოს, იქნებ, მეტად საჭირო შენიშვნაც კი. მას მკითხველს, ჰგონია (და სამართლიანადაც ჰგონია), რომ გუშინ ან გუშინწინ მან უკვე წაიკითხა ის, რომ აუცილებელია გაგაძლიერით, აღმოვფხვრათ, დაეიცათ, მიეცათ ზომები და სხვ. მკითხველს არ შეუძლია ადგილად გადაჭრით ყველაფერს დაუთმოს „ეტი ყურადღება“, როგორც ამას მოითხოვს ზმირად ჩვენი პრესა.

შენიშვნის სათაური, განსაკუთრებით პოლიტგანყოფილების გაზეთში, თითონ კოლმეურნეთა მასების გაზეთში, უნდა იყოს კონკრეტული და შეძლებისდაგვარად შეეფერებოდეს მის ქვეშ დაბეჭდილ მასალას. სათაურის კონკრეტობა იზიდავს მკითხველის ყურადღებას ინფორმაციისადმი, ინსტრუქციის, რომლებიც გამოსატავენ სათაურის იდეას, აზრს, მარტივი და გასაგები უნდა იყოს. კარგი სათაურის მეორე პირობაა წოგნიერობა პოლიტიკური და ლიტერატურული. ლიტერატურულად უცილად შედგენილ სათაურებს, ლიტერატურულ უაზრობას იქ რამდენსაც გნებავთ იპოვით, ჩვენი გაზეთების, მათ შორის პოლიტგანყ. გაზეთების, რედაქტორები ხშირად ბოროტად იყენებენ ასეთ სათაურებს:

დავამსხვრიოთ რიგითობა...
გავტეხოთ უდარდელობა და თვითდინება,
დავვარტყათ დაუდეგრობას..

საქმარისია მხოლოდ ჩავუფიქრდეთ ასეთ გამოთქმებს აზრს, როგორიცაა „დავამსხვრიოთ რიგითობა“, თუნა ადგილად დავრწმუნდეთ მის უაზრობაში. შეიძლება დაამსხვრიო ჰაერი, შეიძლება დაამსხვრიო მუხლი, შეიძლება დაამსხვრიო მტკიცე, მაგრამ „რიგითობა“... იგი არ იმსხვრევა. მუტად სამწუხაროა, რომ ასეთი ეუფიქრებელი სიტყვები ფართოდ პოლიტიკურ ორაზროვნებას იწვევს, გაზეთის „მოლიტიკა“ (ნოვოდერევენსკის სამანქანო-სატრაქტორო სადგური, მოსკოვის ოლქი) ბეჭდავს შენიშვნას კოლ მეურნეობათა მიერ სამ.-სატრ. სადგურის წინაშე თავის ვალდებულებათა შეუსრულებლობის შესახებ. შენიშვნის სათაურია: „ცუდათაა საქმე ნატურა-გადასახდელის მხრივ“.

ვისთვისაა ცუდათ, რედაქციაში მომუშავე ამხანაგებო? რას თქმა გინდოდათ? ნატურა-გადასახდელი არ შეიქცეთ? ეს უფრო მეტია, ვიდრე ცუდათ, ეს ანტი-სახელმწიფოებრივი მოქმედება, ხოლო როცა თქვენ ამბობთ: ცუდათაა საქმე ნატურა-გადასახდელის მხრივ“,—ამ გაქეთ გარანტია, რომ ცუდაკი, რომელიც აქ-ოქ ჯერ კიდევ ცდი მოვიყვანეთ.

„ქუდების მოწმენდა“ ნაშავს, რომ გაზეთი წინადადებას აძლევს კოლმეურნეებს გააძლიერონ მუშაობა და დაიჭარონ პურის ჩაბარების ვადები, ხოლო კოლმეურნეობის თავმჯდომარე ზნაჩკოვმა პირველი გაეცნაცა საზოგადოებრივ კვებისათვის, და არა სახელმწიფოს. ამ გაზეთების რედაქტორებს ხელი უნდა აეღოთ ვირტუოზობაზე და სტერეოტიპებზე დაუსაბუთებლად შეჩვნაზე და სათაური შენიშვნების შინაარსის შესაბამისად აეგოთ.

„ქუდების“ შესახებ. „ქუდი“ პრესაში იშვიათად არა ერთი სათაურის, არამედ მთელი გვერდის ან შერჩეული შენიშვნების სათაურს, „ქუდები“ სამ ძირითად სახეს იყოფა: მაბილიზებელია, ამა თუ იმ უბანზე საქმეთა ვითარების აღმნიშვნელი და მობილიზებელი (ლოზუნგი). ეს უკანასკნელი ხშირად აშკარა ბრძანების, მუქარის და გინების ხასიათისაც კი ატარებს. ბოლშევიკური პრესის დანიშნულებას შეადგენს აგიტაცია-პროპაგანდის გაწევა, მშრომელთა უფარო ფენებისათვის მასების დარაზმვა და სრულიადაც არა, მბრძანებლობა. ამ ძირითად დებულებას, გაზეთის ნაყოფიერი მუშაობის ამ ძირითად პირობას ოდნავ ეწინააღმდეგება ის მცირეოდენი მაგალითები ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ.

ისიც ხდება, რომ მუქარისათვის არავითარი საფუძველი არ არის და გაზეთი თავის უხერხულ მდგომარეობაში აყენებს. მაგალითად, რაიონულმა გაზეთმა „მინდვრადსი რაბოჩიმ“ გამოაცხადა:

„მხოლოდ პარტიის საქმის გამცემ ლებს შეუძლიათ შეუფრთხილებლად მესამე კვარტალის საფინანსო გეგმის ვადამდე შესრულების დანიშნულებისდაგვარად ნელ ტემპებს“.

საფინანსო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის გაზეთი უნდა იბრძოდეს. მაგრამ ყველა ის, ვინც ვადამდე შესრულების „დანიშნულებისდაგვარად ნელ ტემპებს ურიგდება“, „პარტიის საქმის გამცემლად“ გამოაცხადო—ეს სიმრიტაა, მეტი რომ არა ვთქვათ.

ეგორიევსკის რაიონული გაზეთი „კრასნი პუტ“ უფრო გადაჭრით იქცევა და საქეყნოდ აცხადებს:

„ის კომუნისტი არ არის, ვისაც ფანჯრების ხაგონი ეშინია, ზამთრისათვის მუშის ოჯახის მომზადებაზე არ ზრუნავს“.

ჯერ ერთი, ზამთრისათვის მუშის ოჯახი ჯერ კიდევ არ უნდა მოამზადო, არამედ შენი უნდა მოამზადო. შემდეგ, პარტიის წევრო ბაც და ფინანსების სფეროს ეროვნებითად დაკავშირება, ისიც ასეთი კატეგორიული ფორმით, ეს გათახსირებაა ლოზუნგისა „ჭვრელმახვილობისათვის“ ყურადღების მიქცევის შესახებ.

აი გაზეთის „პუშკინსკი კოლხოზნიკა“ (მოსკოვის ოლქი) მისცა მშვენიერი მხატვრული ქედი:

„ენით ხელს ვერ დაწერავ“.

მხატვრული სიტყვა მოხდენილია და მისაღებია, თვითეული კოლმეურნე მკითხველი ერთბაშად მიხვდება, თუ რაშია საქმე, თუ რის თქმა სურს გაზეთს. ამასთან ერთად არც ბრძანებას და მუქარას, არც გინებას ეს „ქუდი“ არ შეიცავს.

ხოლო როცა გაზეთი „სტალინსკოე ზერნო“ „ქუდში“ მოითხოვს

„გვიკეთოთ ძლიერი გარდატეხა დაჩქარებაში“.

ეს ცუდი, უმეცარი და გაუგებარია. გარდატეხის გაკეთება შეუძლებელია. გაზეთმა „ნა კოლხოზნოი სტროიკემ“ მოისაზრა, რომ საჭიროა

„საბოლოოდ დაამსხვრიოს აღების ხარისხის ხარვეზე გამალებული ფაცაფუცის ანტი-სახელმწიფოებრივი ტენდენცია“.

დიდხანს უნდა ჩაუფიქრდე ამ უმეცარი ფრაზის ყველა სიტყვას და გააჩნიო ისინი, რომ გაზეთის მოწოდებას აზრს მიაწვდე. კოლმეურნე მკითხველებს ასეთი პრაზეკვეგრენი არ ესაჭიროებათ. გულდასმით დაკვირდეს ფრაზის თვითეულ სიტყვას, არ გამოარჩინოს „ბრძნული“ სიტყვები, გეგრძნო ოუარის უცხო სიტყვებს, იფიქრის პოლიტიკური და ლიტერატურულ მცოდნეობაზე—აი, საკუთარივ, რა უნდა აკეთოს რედაქტორმა „ქუდის“ ამ სათაურის შედგენაზე. რჩევა თითქოს მარტივია, მაგრამ მისი განხორციელებით პოლიტგანყოფილების გაზეთების რედაქტორებს შეუძლიათ თავიდან აიცილონ ის შეცდომები, რომელთა მცირეოდენი მაგალითები ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ.



უმაღლესი კომუნისტური სასწავლებლის ახლად აგებული შენობა ქ. ფრუნზეში (ყირგიზეთი), რომელშიაც მოთავსებულია უმაღლესი სახ. სამ. სკოლა და პედინსტიტუტი.

კონკურსი საუკეთესო მზეთავსა და სავაგონო დეპოზე

ამხანაგო მზეთავებო! აამაღლეთ თქვენი კვალიფიკაცია
დაეუფლეთ საზეინკლო საქმეს, გახდით ბუჭსის ოსტატნი

გრძოლა პირველობისათვის სათანადოდ არ არის გაშლილი

(ტფილისის უბნის მზეთავეების კონფერენციაზე)

გზათა სახ. კომისარიატი და რკინისგზელთა ცენტრ. კომიტეტს შორის მიღწეულია შეთანხმება მატარებლის მზეთავების შრომის ანაზღაურების შესახებ, იგი არ წარმოადგენს მარტოოდენ ხელფასის გამოსაანგარიშებელ სტარიფო ცნობარს, ის ამასთანავე თვალისწინებს მზეთავის კვალიფიკაციის ამაღლებასაც.

მზეთავად ვერ იმუშავებს კაცი, რომელიც არ იცნობს საზეინკლო საქმეს,

ახალი ტარიფი იძლევა იმის სტიმულს, რომ ყოველმა მზეთავმა იბრძოლოს საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებლად.

ამ ახალი ტარიფის განსახილველად შეიკრიბენ გუშინ ტფილისის უბნის მზეთავები; ისინი მოიწვიეს სავაგონო უბნის პარტოლმა კომიტეტებმა და გაზ. „კომუნისტმა“.

შეუძლებელია ახალ სატარიფო სისტემაზე ლაპარაკი, თუ მზეთავი არ იცნობს თავისი მუშაობის ხასიათს, მიღწევებს და ნაკლს, ეს ორი საკითხი ორგანიულად უკავშირდება ერთმანეთს.

მზეთავის მუშაობის გამორკვევისათვის არსებობს ერთი მაჩვენებელი—ეს არის **ბუჭსების წვა.**

ტფილისის სავაგონო უბნის სამატარებლო ბრიგადების უფროსი ამხ. მელია კონფერენციაზე ლაპარაკობს, რომ აგვისტომდე ბუჭსების წვის აღრიცხვა არ წარმოებდა, ე. ი. კონტროლი ბუჭსებზე არ იყო და, ცხადია, არც მზეთავები გრძნობდნენ პასუხისმგებლობას. ბუჭსები იწვოდა, ვაგონები იხსნებოდა, ტვირთზიდვის გეგმები იღლეოდა, დამნაშავე პირები კი გამოურკვეველი და დაუსჯელი რჩებოდნენ.

აგვისტოდან დაიწყო ბუჭსების წვის აღრიცხვა. ამ თვეში ადგილი ჰქონდა ბუჭსების წვის 124 შემთხვევას, აქედან 45 შემთხვევა სარემონტო ქარხნის მიზეზით მოხდა, 70—სავაგონო დეპოს მიზეზით და 22 მზეთავების მიზეზით. დამნაშავე მზეთავები დაისაჯნენ ადმინისტრატიულად და მატერიალურადაც, მათ დაუჭირეს ხელფასიდან გზსათვის მიყენებული ზარალის ღირებულება. 3 მანეთი ბუჭსის გადაწვისათვის, თუ მას არ გამოუწვევია ვაგონის დაზიანება და 5 მან.—თუ გადაწვას შედეგად ღერძის საკისრის დაზიანება მოჰყვა.

სექტემბერში ბუჭსების წვის შემთხვევამ იკლო. ამ მიზეზით აიხსნა 42 სატვირთო და 8 საკლასო ვაგონი. ამ შემთხვევაში მზეთავების მიზეზით 8 ვაგონი აიხსნა, დანარჩენი შემთხვევები ქარხნის და დეპოს მიზეზით მოხდა.

20 ოქტომბრამდე ადგილი ჰქონდა ბუჭსების გადაწვის 24 შემთხვევას. აქედან 5 შემთხვევა მზეთავებზე მოდის.

ეს მაჩვენებლები სამარცხვინოა. ფაქტები ლაპარაკობენ, რომ ტფილისის უბნის მზეთავების მუშაობაში ჯერ კიდევ არ მომხდარა გარდატეხა. ტფილისელ მზეთავებს შორის, რომელთაც ყავთ საკავშირო ტრიბუნის კანდიდატები მოიპოვებიან ისეთებიც, რომელთათვისაც ბუჭსი ჯერ კიდევ არ გამხდარა საზრუნავ საგნად. არის დანაშაულებრივი დაუდეგრობის ფაქტები, ადგილი აქვს უაზრო მსჯელობას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ადევნოს თვალყური მზეთავმა ერთსა და იმავე დროს ბუჭსებსაც და ვაგონის წამყვან ნაწილებსაც და სხვ.

ამ სამი დღის წინ ადგილი ჰქონდა ასეთ შემთხვევას: მზეთავმა **ამალლებელმა** აქტაფაში გამოინჯველებისაგან შემდგენლობა მიიღო ისე, რომ სათანადოთ არ შეუმოწმებია ყველა ბუჭსები და 6 ვაგონი ტფილისში ისეთ მდგომარეობაში ჩამოიყვანა, რომ მათი უღელტეხილზე გაშვება ყოვლად შეუძლებელი იყო; შედეგად მივიღეთ ვაგონების მოცდენა მთელი დღით, ხოლო მზეთავს რომ ზუსტად შეესრულებინა თავისი მოვალეობა ამას ადგილი არ ექნებოდა.

მეორე მზეთავმა, რომელსაც ბუჭსი გადაეწვა და ახსნა-განმარტებისათვის გამოიწვიეს, თავი იმართლა, რომ მას არ შეუძლია გზაში ბუჭსებსაც უდგოს ყური და ვაგონის წამყვან ნაწილებსაც. მისი სიტყვა დან გამოდიოდა, რომ ბუჭსისთვის ცალკე მზეთავი უნდა ინიშნებოდეს და წამყვან ნაწილებისათვის მეორე.

ცხადია, ასეთ „მსჯელობას“ მზეთავთა რიგებში ადგილი არ უნდა ექნეს, თვითეულმა უნდა იცოდეს თავისი მოვალეობა და მას ულაპარაკოდ ასრულებდეს.

მზეთავებმა უნდა იმეცადინონ, დაეუფლონ ბუჭსების მოვლის ტექნიკას, უამისოდ ბუჭსების წვას ვერ ავიცილებთ. მაღე დაიწყებენ მუშაობას სატესტაციო კომისიები და ვინც ამ პირობას ვერ უზრუნველყოფს, იგი დასტოვებს ტრანსპორტს.

პომხსენებელი მორჩა სიტყვას. ჩამოვარდა სიჩუმე. ყველა სდუმს.

— რაშია, ამხანაგებო, საქმე, ეილაპარაკოთ, გამოესთქვით საკუთარი აზრი, გამხიეოთ ჩვენი მუშაობის ტკივილი მხარეები— მიმართავს კრებას თავმჯდომარე. მზეთავები შეიძახენ, ნელ-ნელა დაიწყეს ლაპარაკი.

— თვის დაწყებიდან ჯერ მხოლოდ ოცმა დღემ განვლო და უკვე მოასწრეს 24 ვაგონის ახსნა, თვის ბოლომდე კიდევ 10 დღე დარჩა, თუ ასე გაგრძელდა, აბა საწამდე მიგვიყვანს საქმისადმი ასეთი დამოკიდებულება—ამბობენ მზეთავები. ჩვენ „კომუნისტის“ კონკურსში ვართ ჩაბმული, გვინდა ჩვენ ბრიგადას ეწეროს ეს ბრწყინვალე სახელი, ეს ამასთანავე ჩვენ ვალდებულებაც არის, ამიტომ ჩვენ ვერ ავიტანთ ასეთ ამბავს, ჩვენ ვიბრძოლებთ ბუჭსების წვის სრულიად აღმოფხვრისათვის.

ამ ნაკლოვანებათა გამოსწორების შესახებ ბევრი ილაპარაკეს მზეთავებმა, ბევრი ისაუბრეს ბუჭსების წვის მიზეზებზე, მაგრამ ამ საკითხის ირგვლივ ერთი სიტყვა არ ითქვა, რომელიც ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ზუსტ გზას დაგვანახებდა.

ეს ნაკლოვანება ბევრ სხვა მზეთავებსაც ახასიათებს. ამ ნაკლოვანებას ხელი უნდა შეუწყოს ტფილისის ტრამვაის კომკავშირის ორგანიზაციის ინიციატივით მოწვეულ ტფილისის მზეთავების კონფერენციამ, რომელიც ამ დღეებში გაიმართა.

კონფერენციამ ყურადღება მიაქცია ბუჭსების წვის მიზეზებს, ამ მხრივ ნაკლოვანებებს და ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ზომებს. კონფერენციამ ბრძოლა გამოუცხადა ბუჭსების წვის ნარჩენებს,

ვამოწმებთ საკ. კ. პ. (ბ) ცეკას 1931 წ. 31 ოქტ. დადგენილების შესრულებას

გოლშევიკურად განვამტკიცოთ ჩაის ფრონტზე მოპოვებული მიღწევები

მთელი ძალები ჩაის პლანტაციების მოსავლიანობის გადიდებას და ხარისხის გაუმჯობესებას

ორი წლის მანძილზე

(ქობულეთი, ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ჩაი ამჟამად სოფლის მეურნეობის ძირითად კულტურას წარმოადგენს ქობულეთის რაიონში. **უკანასკნელი წლების განმავლობაში რაიონმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ჩაის კულტურის განვითარების დარგში.** ჩაის საერთო ფართობის უდიდესი ნაწილი სოციალისტური სექტორშია მოქცეული. (ამჟამად ნოშენებულია სულ 3.223 ჰექტ. ჩაი. აქედან კოლმეურნეობებში. 115 ჰექტ. საბჭოთა მეურნეობებში. 1567 ჰექტ. ინდივიდუალურ სექტორში კი 541 ჰექტარი).

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტისა და საქ. კ.პ: (ბ) ცეკას ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებულ შეცდომებმა მკვეთრი გამოხატულება ჰპოვა ქობულეთის რაიონშიც კერძოთ კი ჩაის კულტურის განვითარებისა და საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში. არ ექცეოდა **ყურადღება მუშაობის ხარისხს,** აღგილი ჰქონდა ცდურებისადმი გამოდევნებას. გასული წლის აპრილში ჩატარებულმა ჩაის პლანტაციების 100 პროცენტიან გამოკვლევამ გამოაშკარავა, რომ ჩაის დიდი ნაწილი გაშენებული იყო არაწესიერად, რომელიც მოითხოვდა აღდგენასა და რემონტს.

საკ. კ.პ. (ბ) ცეკას 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილების საფუძველზე, რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა შეიმუშავეს მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებები და გაშალეს ბოლშევიკური პრძოლა მდგომარეობის გამოსასწორებლად. დაზიანებული და განადგურებული ჩაის პლანტაციების აღდგენის საჭიროებისათვის გამოვიდა 1300 კომლი (ანუ რაიონის მეზრომეული მოსახლეობის 30 პროცენტი). ეს ამხანაგობები მოწყვეტილნი იყვნენ რაიონის პარტიული და საბინაო მოქმედი ორგანოების ხელმძღვანელობას და დახმარებას.

საკ. კ.პ. (ბ) ცეკას 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილების რეალიზაციის შედეგად, რაიონში გამოსწორდა საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული შეცდომები კერძოთ: მოწესრიგდა კოლმეურნეობებში შრომის აღრიცხვა და განდევნილი იქნენ იქიდან კლასიური მტრები და მათი აგენტები. ფაქტიურად გატარდა სანარდო სისტემა, საკოლმეურნეო მშენებლობაში ჩაბმენ აჭარელი გლეხი ქალები და სივ.

ყოველივე ამის შედეგათ რაიონის პარტორგანიზაციამ მიაღწია კოლმეურნეთა საწარმოო აქტივობის ზრდას გაიზარდა ღარიბ – საშუალო გლეხთა მასობრივი ლტოლვა კოლმეურნეობებისკენ. **1932 წელს ჩამოყალიბდა 4 სახ. სამ. არტელი,** კოლმეურნეობებში გაერთიანდა **1587 გლეხური მეურნეობა** (რაიონის მშრომელი მოსახლეობის 41,2 პრ.) ამჟამად რაიონში ჩამოყალიბებულია 11 სახ.-სამ. არტელი .527 კომლით და 56 მიწის საერთო შრომით დამამუშავებელი ამხანაგობა 1312 კომლით.

ამხ. სტალინის ლოზუნგი ყველა კოლმეურნის შეძლებულად გადაქცევის შესახებ აქ ბოლშევიკურად ხორციელდება. კოლმეურნეობები და ცალკე კოლმეურნეები მიმდინარე წელს მიიღებენ გაცილებით იმაზედ მეტ შემოსავალს და მოსავალს, რაც მათ მიიღეს სულ უკანასკნელ, ორი წლის განმავლობაში. ავიღოთ მაგალითისათვის სოფ. **ბობოყვათის „მოლოტოვის“-ს სახ. კოლმეურნეობა.**

აღნიშნული კოლმეურნეობა გასულ წელს 18 კომლს აერთიანებდა. ეხლა კი მათში გაერთიანებულია 67 კომლი 159 მუშა-ხელით. აქედან 52 ქალია. წელს კოლმეურნეობის შემოსავალი 327.500 მანეთს აღემატება. კოლმეურნეობა მიმდინარე წელს 985.723 მანეთს მარტო იმ სას.-სამ. პროდუქტებიდან (ჩაი, მახდარინი, ლიმონი, სოია და სხვ.), მიიღებს რომლებსაც ისინი ჩაბარებენ სახელმწიფოს.

გასულ წელს აქ **თითეულ შრომადღეზე კოლმეურნეს ერგო** სულ 4 მანეთი 11 კაპ. წელს კი ერთ შრომადღეზე კოლმეურნე მიიღებს სიმინდის, ბრინჯის, ხორბალისა და სხვა პროდუქტებს გარდა ფულად შემოსავალს 14 მანეთს და 71 კაპიკს. სოფ. აჭყვას კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერმა“. **გასულ წელს მიიღო სულ 64.591 მანეთის მოსავალი და შემოსავალი, წელს კი მიიღებს 112.000 მანეთზე მეტს.**

მთელი რიგი კოლმეურნეები მიმდინარე წლის ბოლოს მიაღწევენ შეძლებული მეურნის დონეს. ავიღოთ მაგალითისათვის ოგიყე მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობა.

აღნიშნული კოლმეურნეობის წევრმა **უსუფ გათენაძემ,** გასულ წელს როცა იგი ერთპიროვნულად მუშაობდა ძლივს მოიყვანა 41 ფუთი სიმინდი და სხვა მარცვლეული. მიუხედავათ იმისა, რომ იგი წლის განმავლობაში ზედმეტათ მოწეულ ჭირნახულს კერძო ბაზარზე ჰყიდდა, გასულ წელს ძლივს აღიო ფუ-ლადი შემოსავალი 2115 მანეთი.

გათენაძე მიმდინარე წლის მარტში შეუდგა კოლმეურნეობაში. მას, მის ცოლს და შვილს 10 ოქტომბრამდე გამომუშავებული ქონდა 507 შრომა-დღე. მათ დამატებით შეუძლია გამომუშაონ კიდევ წლის დამლევამდე არანაკლები 60 შრომადღისა. **უსუფ გათენაძის** ოჯახი კოლმეურნეობიდან მიმდინარე წელს მიიღებს ფულად შემოსავალს 8.340 მან. 57 კაპიკს. მიიღებს ავრეთვე შრომა-დღეებზე კოლმეურნეობის ყანებიდან 138 ფუთ სიმინდს და 8 ფუთ ბრინჯს. ამასთან ერთად იგი მიიღებს 80 ფუთ ხორბალს, იმ საერთო რაოდენობიდან, რომელსაც აძლევს მთავრობა კოლმეურნეობებს ტეხნიკური კულტურების მომარაგების ანგარიშში.

აბა რა შედარებაა: **გ.-წ. მიიღო ხორბლეული 41 ფუთი. წელს 226 ფუთი. გასულ წელს კერძოდ მუშაობის დროს მიიღო 2115 მანეთი. წელს კი მიიღებს 8340 მანეთს.**

კომკავშირელი **ისკენდერ მახარაძეს** ოჯახს (ორი მუშა-ხელი) დღემდის გამომუშავებული აქვს 277 შრომა-დღე. მას კიდევ შეუძლია გამოიმუშაოს 70 შრომა-დღე. **გასულ წელს მახარაძეს 297 შრომა-დღეზე კოლმეურნეობიდან ერგო 1200 მანეთი ფული და 105 ფუთი სიმინდი. წელს კი მიიღებს 177 ფუთ ხორბლეულს და 4858 მანეთს** ფულად. ე. ი. მისი შემოსავალი გასულ წელთან შედარებით თითქმის 4-ჯერ გაიზარდა.

ასეთი წევრები მრავალია.

ბოლომდე აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი

აღნიშნულ მიღწევებთან ერთად საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში არის ნაკლიც. მაგალითად. **სოფ. ზედა ქვირიკეს** კოლმეურნეობა **„პირველი ნაბიჯი“** ხელმძღვანელებმა ვერ შესძლეს სათანადოთ მოეწესრიგებინათ შრომა. სუსტად არის დაყენებული შრომის აღრიცხვა, ადგილი აქვს უდისციპლინობას. სამუშაო დღეების უმიზეზოთ გაცდენას.

სოფ. ჭობულეთის კოლმეურნეობა „საერთო ძალა“-ში ფორმალურადაა „გაშლილი“. სოციალისტური შეჯიბრება. არ სწარმოებს დამკვერელ კოლმეურნეთა დაჯგილდოება. **ზარმაცებისა და დეზერტირების წინააღმდეგ ბრძოლის დარგში არ არის მთლიანად გამოყენებული პარტიისა და ხელისუფლების დადგენილებები,** მივიწყებულია ქალთა და მოზარდთა შრომის გამოყენების საკითხი, საერთოდ სუსტადაა დაყენებული კოლმეურნეობებში მასიურ-პოლიტიკური მუშაობა.

საკოლმეურნეო მშენებლობისა და ტეხნიკური კულტურების განვითარების დარგში მიღწეული შედეგებით ქობულეთის რაიონის პარტორგანიზაცია არ უნდა დაკმაყოფილდეს საკ. კ.პ. (ბ) ცეკას 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილების საფუძველზე კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს ბრძოლა მიღწეული წარმატებების განსამტკიცებლად, ჩაის და სხვა სუბტროპიკული კულტურების მოსავლიანობის ასაწევად, ყველა კოლმეურნეთა შეძლებულად გადაქცევის მისაღწევად.

ტ. აცანელი.

ჩაი ნასაკირალში

(ოზურგეთი, ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

მეოთხე წელია, რაც დაარსდა ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობა. 1.500 ჰექტარი მიწის ფართობი, რომელიც ამჟამად მეურნეობის განკარგულებაშია. მთლიანად ათვისებულია.

1930 წლამდის ნასაკირალში გაშენებული იყო სულ ჩაი 45,4 ჰექტ. 1930 წ. გაშენდა 421,6 ჰექტ. 1931 წელს 189,4 ჰექტ. ხოლო 1932 წელს 30,4 ჰექტარზე, ამრიგად მეურნეობაში გაშენებულია სულ 686 ჰექტარი ჩაი.

პირველ ხანებში აღნიშნულ მეურნეობას მთელი რიგი მნიშვნელოვანი და სერიოზული დეფექტები ახასიათებდა. ყურადღების ცენტრში იყო დატოვებული ხარისხისათვის ბრძოლის საკითხი, სუსტად ტარდებოდა აგროტექნიკური ღონისძიებები, არადამაკმაყოფილებლად სწარმოებდა ჩაისათვის ნაიდგის შერჩევა და პლანტაციების წესიერი დაგეგმვა, თითქმის არავითარი კონტაქტი არ არსებობდა მეურნეობასა და ჩაის საცდელ სამეცნიერო საგამოკვლევო ინსტიტუტს შორის და სხვა.

საკ. კ.პ. (ბ) ცეკას 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილების საფუძველზე ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ შეიმუშავებული იქნა მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებები არსებული დეფექტების გამოსასწორებლად.

თუ მეურნეობამ 1931 წლის გეგმები ვერ შეასრულა. **საკ. კ.პ. (ბ) ცეკას 31 სექტემბრის დადგენილების** მთლიანი **რეალიზაციის** შედეგად, 1932 წლის საწარმოო დავალებები წარმატებით შესრულდა. მაგალითად: გასულ წელს ჩაისათვის ნაიდგის მომზადების და თესვის გეგმა მეურნეობამ შეასრულა 116 პროც. ბამბუკის გაშენების გეგმა 100 პროც. ტუნგოს 105 პროც. ჩაის სანერგე 104 პროც. პირველი და მეორე თოხნა 100 პროც.

მიმდინარე წელს ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობამ გადამზე დაამთავრა ჩაის თოხნაც კამპანია. ჩატარდა ავრეთვე ჩაის პლანტაციების რემონტი 55,3 ჰექტარზე გეგმის 104,3 პროც. პლანტაციების აღდგენა 17,4 ჰექტარზე გეგმის 193,3 პროც.

ნასაკირალის საბჭ. მეურნეობამ მიმდინარე წელს საკონტრაქტაციოდ ჩააბარა ჩაის თოხნა კამპანია. ჩატარდა ავრეთვე ჩაის პლანტაციების რემონტი 55,3 ჰექტარზე გეგმის 104,3 პროც. პლანტაციების აღდგენა 17,4 ჰექტარზე გეგმის 193,3 პროც.

ნასაკირალის საბჭ. მეურნეობამ მიმდინარე წელს საკონტრაქტაციოდ მიაწოდ

ლეიპციგის პროცესი

რეიხსტაგისათვის ნამდვილი ცეცხლისწამკიდებელი იტალიაშია

პარაბა, 20 ოქტომბერი. ბერლინიდან იუწყებიან, რომ ზემო-სილეზიის მოიერიში რაზმების ხელმძღვანელმა და ბრესლავლის პოლიციი-პრეზიდენტმა გეინცმა, რომელიც გამოწვეულია „მოწმედ“ რეიხსტაგისათვის ცეცხლის წაკიდების პროცესზე, გამოა-ცხა დებაში, რომლითაც იტყობინება: „ამ თვის დამლეგამდე დამაკავეს იტალიაში“ და ამიტომ ამჟამად ან შეიძლება გამოვცხადე სასამართლოში. როგორც ცნობილია მსოფლიო საზოგადოებრიობა, მთელი რიგი მასალების მიხედვით ბრალს დებს ამაში რომ იგი მეთაურობდა მოიერიშთა იმ რაზმს, რომელმაც ცეცხლი წაუკიდა რეიხ-ტაგს (ადს).

ამჯ. დიმიტროვის ალიბი უდაოა

პრაღა, 19 ოქტომბერი. რეიხსტაგისათვის ცეცხლის წაკიდების პროცესის გუშინდელ სხდომაზე პროკურორმა ვერნერმა უარყო იმ მოწმეების გამოწვევა, რომლებსაც უნდა დაედასტურონ, რომ 27 თებერვალს დიმით დიმიტროვი იმყოფებოდა ძიუნხენდან ბერლინისაკენ მიმავალ მატარებელში. პროკურორმა განაცხადა, ეს ფაქტი „შეიძლება სინამდვილედ ჩაითვალოთ“. დიმიტროვის ალიბი არ ყოფილა საკმარისად. **პროდუქციის არაჩვეულებრივ ზრდას აქვს ადგილი**, — სწერს ეურნალი,—ქვანახშირის, ფოლადის, რკინის დამამზადებელ, ავტოსატრაქტორო, ქიმიურ, ნავთის და სხვ. მრეწველობაში.

ეურნალი მოუთითებს, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებს საფუძველი აქვთ „კმაყოფილებით გადაავლონ თვალი გასულ წელს“, ვინაიდან, ამ წარმატებების გარდა, — „განსაცვიფრებელი წარმატებები მიღწეულ იქნა საერთაშორისო პოლიტიკის სფეროში. აქ ყოველ კვირეული ეურნალი მოუთითებს თავდაუზოგველობის პატივებზე და აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც კონკრეტულ, ნაყოფიერ შედეგებს მიაღწია ლონდონში მსოფლიო ეკონომიური კონფერენციის დროს (ადს)..

„1933 წლის უსვი მოსავალი ხუთწლედში დაგანდეგული კაპიტალის პირველი დივიდენდია“

„ნიუ რიპაბლიკი“ სოფლის მეურნეობის და მრეწველობის დარგში საბჭოთა კავშირის წარმატებებისადმი სოფლის მეურნეობის და მრეწველობის დარგში, აგრეთვე საგარეო პოლიტიკის სფეროში.

ნიუ-იორკი, 11 ოქტომბერი. ლიბერალური ყოველკვირეული ეურნალი „ნიუ რიპაბლიკი“ აქვეყნებს სტატიას, რომელიც მიძღვნილია საბჭოთა კავშირის წარმატებებისადმი სოფლის მეურნეობის და მრეწველობის დარგში, აგრეთვე საგარეო პოლიტიკის სფეროში.

„1933 წლის უხვი მოსავალი, —სწერს ეურნალი, — ეს საბჭოთა მუშების პირველი დივიდენდია კაპიტალიდან, რომელიც მათ დაებანდნეს ხუთწლედში. თუჯი გადაშენებულ იქნა ფოლადად, ფოლადი გარდაიქმნა ტრაქტორებად და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებად, უკანასკნელი კი, თავის მხრივ, გადაიქცენ პირველხარისხოვან ფაქტორებად საბჭოთა ქვეყნის ყველაზე უფრო ნაყოფიერი სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩატარებაში“.

ეურნალი აღნიშნავს, რომ ეს ცვლილებები მოხდა ისეთ დროს, როდესაც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში ეკონომიური კრიზისი ღრმავდებოდა და ფართო მასშტაბით ზესაზღვრო ომის საშიშროება ჩნდებოდა.

„ეურნალი ჩამოთვლის საბჭოთა მთავრობის და პარტიის ღონისძიებებს, როგორიცაა: პურის დამზადების შეცვლა პურის სავალდებულო ჩაბარებით, ხელფასის და შრომის ორგანიზაციის მოწესრიგება კოლმეურნეობებში, ბრძოლა ტრაქტორების რე მონტისა და მარცვლის გაწმენდისათვის, ბრიგადების მოწყობა, კომუნისტების და კომკავშირელების მობილიზაცია და სხვ.

ეურნალი აღნიშნავს პოლიტგანყოფილებების უდიდეს როლს თესვის და მოსავლის აღების კამპანიის წარმატებით ჩატარებაში. პირველად იატარდა, — სწერს ეურნალი, — ფართო მასშტაბით ზესაზღვრო თესვა თვითმფრინავებიდან. პირველად შესძლეს სამხედრო-სატრაქტორო ბრიგადების მომსახურება ტრაქტორების ასეთი უამრავი რაოდენობით.

შემდეგ „ნიუ რიპაბლიკი“ ხაზ უსვამს საბჭოთა მრეწველობის განვითარებას მთლიანად. **პროდუქციის არაჩვეულებრივ ზრდას აქვს ადგილი**, — სწერს ეურნალი,—ქვანახშირის, ფოლადის, რკინის დამამზადებელ, ავტოსატრაქტორო, ქიმიურ, ნავთის და სხვ. მრეწველობაში.

ეურნალი მოუთითებს, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებს საფუძველი აქვთ „კმაყოფილებით გადაავლონ თვალი გასულ წელს“, ვინაიდან, ამ წარმატებების გარდა, — „განსაცვიფრებელი წარმატებები მიღწეულ იქნა საერთაშორისო პოლიტიკის სფეროში. აქ ყოველ კვირეული ეურნალი მოუთითებს თავდაუზოგველობის პატივებზე და აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც კონკრეტულ, ნაყოფიერ შედეგებს მიაღწია ლონდონში მსოფლიო ეკონომიური კონფერენციის დროს (ადს)..

მარგანეცი

ჭიათურა, 21 ოქტომბერი. 19 ოქტომბერს ჭიათურის მაღაროებში უნდა ამოედოთ 4.323 ტონა მარგანეცი, ფაქტიურად ამოიღეს 2395 ტონა, გეგმის 55,4 პროც.

უნდა გაერიცხათ 2374 ტონა მარგანეცი, გაირიცხა 1808 ტონა, რაც გეგმის 76,1 პროცენტს შეად გენს.

ქალაში შეკვიდა ლონდონის კონვენცია

საბჭ. ქავშირსა, პოლონეთსა, რუმინეთსა და ავღანისტანს შორის

21 ოქტომბერს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში ს.ს.რ.კ.ში ავღანისტანის საქმეთა რწმუნებულის ბ. საიდ მოჰამედ ოსმანის მიერ დეპონირებულ 3 ივლისის სარატიფიკაციო სიგელი ეგრეთწოდებული განსაზღვრის შესახებ, ხელმოწერილი ავღანისტანის მეფის მიერ. ამის გამო, აგრეთვე წინად საბჭოთა კავშირსა, პოლონეთსა და რუმინეთს შორის აღნიშნული კონვენციის ძალაში შესვლის გამო, ეს კონვენცია ძალაში შევიდა აღნიშნულ სახელმწიფოებსა და ავღანისტანს შორის.

ზემოდაღნიშნულის შესახებ შედგენილია ბითანადო აქტი საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამჯ. მ. ვ. ლიტვინოვის ხელმოწერით და გაეგზავნათ ცნობა კონვენციის სხვა მონაწილეებს (ადს).

დადგენილება აბრესორის განსაზღვრის პაქტის რატიფიკაციის შესახებ

რიგ., 19 ოქტომბერი. მინისტრთა საბჭომ დაადგინა შეატანოს სეიმში სარატიფიკაციოდ აგრესორის განსაზღვრის პაქტი, რომელსაც ხელი მოაწერა საბჭოთა კავშირმა, ლატვიამ და სხვა სახელმწიფოებმა. (ადს).

ერთა ლიგიდან გერმანიის გამოსვლის შემდეგ

ოფიციალური ცნობა ერთა ლიგის გენერალური მდივანის ერთა ლიგიდან გერმანიის გამოსვლის შესახებ

პრაბა, 20 ოქტომბერი. ჟოლოგის სააგენტო ბერლინიდან იუწყება, რომ გერმანიის მთავრობამ ერთა ლიგის გენერალური მდივანს გაუგზავნა ოფიციალური ცნობა ერთა ლიგიდან გერმანიის გამოსვლის შესახებ. (ადს).

„კომუნისტური კოლონია“ ჯუნგლებში

შანხაი, 19 ოქტომბერი. ჩინურ პრესაში გამოქვეყნებულია წერილი ბატავიიდან, რომელშიაც აღწერილია, თუ როგორ უმაგალითო მეთოდებს მიმართავს ხელისუფლება ჰოლანდიის ინდოეთის კუნძულებზე კომუნისტებთან და რევოლუციურ ელემენტებთან ბრძოლაში.

„ბანაკები, სადაც იგზავნება რევოლუციური ელემენტები, — ნათქვამია წერილში, —ჯუნგლებშია, რომლებსაც გარშემორტყმული აქვს მუდმივი თოვლით დაფარული ვებერთელა მთები. იმათ, ვინც ამ ადგილებში იგზავნება, არავინ დარაჯობს, რადგან იქიდან გაქცევა შეუძლებელია. თუ ვინმემ გაბედა და სცადა ამ ბანაკებიდან გაქცევა, იგი აუცილებლად მოხვდება ჯუნგლის მხეცთა ბრძყალებში ან ველური ტომების—თავისქალებზე მონადირეების ხელში და ცოტა ხნის შემდეგ გაქცეულთა თავები ამშვენებს ასეთი რაზმის უფროსის ბინას“. წერილში აღნიშნულია, რომ ჯავშროსან „დე ცევენ პროვინსიენზე“ მომხდარი აჯანყების მონაწილენი ამჟამად გაგზავნილი არიან ამ „კომუნისტურ კოლონიაში.

ავტ. რესპუბლიკების განსახკომებს, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებებს

სასწავლო წლის მეოთხედის განმავლობაში ჩატარებული სასწავლო მუშაობის აღრიცხულ იქნას შემდეგი წესით:

1. მეოთხედის დასრულებამდე, 6—8 დღით ადრე, ყველა საგანში, მასწავლებელთა მიერ დაწერილ საკონტროლო კითხვებით, რომლებიც ამოსწურავენ მეოთხედის განმავლობაში მთელ გავლილ მასალას და გამოარკვევენ მოსწავლეთა მიერ მისი შეთვისების ხარისხს. საკონტროლო კითხვები წინდაწინ უნდა ეცნობოს მოსწავლეებს (სამეცადინო ოთახში იქნას გამოკრული).

2. დანიშნულ დღეებში, გაკვეთილების წესით და შინ მიცემულ დავალებათა გზით, ახალ მასალაზე მუშაობის პარალელურად, საკონტროლო კითხვების მიხედვით, ჩატარდეს გავლილი მასალის განმეორება—მასწავლებელთა მხრივ მოსწავლეთათვის მასალის შესახებ საჭირო დამატებითი ახსნა-განმარტების მიცემით.

3. მეოთხედის უკანასკნელ დღეებში, ცხრილით ზუსტად განსაზღვრულ საათებში, ჩატარდეს ზეპირი აღრიცხვა, ე. ი. მთელი ჯგუფის წინაშე მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება—დასმულ საკონტროლო კითხვებზე მოსწავლეთაგან პასუხის მიღებით, დაფაზე ამოცანების გაკეთებით, რუკაზე ჩვენებით, ცდების დაყენებით და ა.შ. აგრეთვე აღრიცხვა ჯგუფის მეცადინეობის ნვეულებრივ პირობებში და ფორმებში ჩატარეს და ჯგუფის მთელს შემადგენლობას (ყველა მოსწავლეს) შეეხოს.

4. ყველა საგანში ზეპირი საღრიცხვო გამოკითხვის დამთავრების შემდეგ, ცხრილით განსაზღვრულ საათებში, ჯგუფებში, საღრიცხვო შერჩეულ თემებზე, წერილობით საშინაო უნდა შესრულდეს მშობლიურ ენაში, მათემატიკაში და რუსულ ენაში. წერილობით საპასუხოთ იხეთი თემები და ამოცანები იქნას არჩეული, რომელთა შესრულება მოსწავლეთაგან შეიძლება ყველა ნაკლოვანებათა გადალახვის საშუალებას მისცემდეს.

5. ყოველი მოსწავლის შესახებ საბოლოო დასკვნის მასწავლებელი გამოიტანს ყოველ დღიური მუშაობის პროცესში წარმოებული ინდივიდუალური აღრიცხვის მონაცემებისა და მეთხედური აღრიცხვის შედეგების მიხედვით—მექანიკურად საშუალო არითმეტიკულის გამოყვანის გარეშე.

6. მოსწავლეთა წარმატება საგნებში შეფასებულ უნდა იქნას ოთხი ხარისხის მიხედვით: ხუთი, ოთხი, სამი, ორი.

7. მეოთხედური აღრიცხვის შედეგად შედგეს თითეული მოსწავლის მოკლე კონკრეტი დახასიათება (რაშია ძლიერი და რაში სუსტი, გავლილი მასალიდან რა არ აქვს შეთვისებული, როგორ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, როგორ იცავს შენებულ დისციპლინას სკოლაში და სკოლის გარეთ, რის მიმართ აჩენს ინტერესს, როგორი დამოკიდებულება აქვს ამხანაგებთან და ა. შ.

დახასიათების კონკრეტობამ (მოსწავლის ამა თუ იმ ნაკლს არა მხოლოდ აღნუსხვა, არამედ მისი მიზეზის აღნიშვნა) უნდა უზრუნველყოს პრაქტიკულ ღონისძიებათა დასახვა-გატარებას მასწავლ.-აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

8. აღრიცხვის შედეგები დამუშავდეს ჯგუფში და მშობელთა სხდომებზე.

აღრიცხვის მონაცემები საფუძვლად დადვას შემდგომი მუშაობის გაუმჯობესებისათვის პრაქტიკულ ღონისძიებათა დასახვა-გატარებას (მასწავლებლის, მოსწავლის, მშობლების, პიონერორგანიზაციის, მოსწავლეთა თვითმმართველობის და დამხმარე საბჭოს მხრივ).

9. ჯგუფებში აღრიცხვის დასრულებასა ჯგში გაუკეთდეს მეოთხედის განმავლობაში მთელი სკოლის მიერ ჩატარებულ მუშაობას, გამოირკვას სკოლის მეოთხედური საწარმოო გეგმების და სამუშაო პროგრამების შესრულება და დაისახოს კონკრეტი ღონისძიებანი შემდგომი მეოთხედის მუშაობის უფრო მაღალ საფეხურზე ასაყვანად.

10. რაიონში შემავალი ყოველი სკოლა 20 ნოემბრამდე ადგენს რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებაში მოკლე ანგარიშს მეოთხედის მუშაობის შედეგების შესახებ.

განათლების სახალხო კომისრის მოადგილე მ. გოლოდელაძე.

ოქტომბრის ზეიმის წინ

თელავის რაიკოოპკავშირის ვალდებულებანი

თელავის რაიკოოპკავშირმა კოოპპუშაკთა სარაიონო თათბირზე მიიღო ვალდებულებანი ოქტომბრის რევოლიუციის 16 წლის ოავის შესახვედრად.

რაიკოოპკავშირმა იკისრა ოქტომბრის 16 წლის თავისათვის საქონლის ბრუნვა აიყვანოს—5.236.000 მანეთამდე, საპაიო თანხა შეაგროვოს 190.000 მან. და კოოპერაციაში შეაკავშიროს 3.440 ახალი წევრი.

ცენტრალიზებულ დამზადებათა დარგში: რძის პროდუქტები დაამზადოს—460.730 ლიტრი, ბოსტნეული—494.000 კილო, სხვადასხვა ტყავეული—6.490 ცალი, სამკერვალო ნედლეული—6.400 კილო.

დაცდენტალიზებულ დამზადებათა ხაზით უნდა დაამზადოს ფრინველი—2.000 ფრთა, კვერცხი—43.200 ცალი, ყველი—3.000 კილო, კარაქი—800 კილო, თაფლი—300 კილო, ხილ-ბოსტნეული—206.000 კილო.

თელავის რაიკოოპკავშირის ამ ინიციატივას უნდა გამოეხმაუროონ დანარჩენი რაიკოოპკავშირებიც.

ახალი თვითმფრინავის გადაცემა

გალაქტ. საწარმოთა მუშების წარმომადგენლებმა პირობა დასძეს, რომ მომავალშიაც განაგრძობენ ბრძოლას ჩვენი სამხედრო ძალების გასაძლიერებლად.

მიტინგის შემდეგ გაიმართა საუკეთესო დამკვრელ მუშების საპატიო „ნათლობა“. თვითმფრინავით ფრენა გაგრძელდა საღამომდე.

ხელოვნება

„არსენა მარაბდელი“ რუსთაველის თეატრში

რუსთაველის თეატრი შეუდგა მზადებას ვიქ. ჯავახიშვილის რომანის „არსენა მარაბდელი“-ს გასაცენიერებისათვის. რომანის ბიესად გადამუშავებაზე მუშაობენ ავტორი და რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელი სანდრო ახმეტელი.

თეატრის აზრით, „არსენა მარაბდელი“-ს გასაცენიერებისათვის საჭიროა ახალი თეატრალური ფორმა და ახალი სახით დაპეტრალური ფორმა და ახალი სახით დაპეტრალური ფორმა და ახალი სახით დაპეტ